ABOUT HIV

აივი და ადამიანის უფლებები

ქვეყნების უმრავლესობაში აივ-ინფიცირებულებს ენიჭებათ იგივე უფლებები და მოვალეობები, რაც სხვა მოქალაქეებს. თუმცა, აივ-ით ინფიცირებულების მიმართ კვლავ იჩენს თავს მიკერძოებული დამოკიდებულება და დისკრიმინაცია. ზოგ შემთხვევაში, თქვენი აივ-სტატუსის შესახებ ინფორმაციის ფლობამ შესაძლოა შეცვალოს ადამიანების დამოკიდებულება თქვენს მიმართ.

აივ-თან დაკავშირებული სტიგმა არსებობს სხვა სახის მიკერძოებული დამოკიდებულების კონტექსტში, როგორიცაა ეთნიკურ კუთვნილებასთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, გენდერულ და ეკონომიკურ სტატუსთან დაკავშირებული დამოკიდებულება. აღნიშნული მიკერძოებული დამოკიდებულება თავის მხრივ, ასევე ახდენს ზეგავლენას აივ-ინფიცირებულებზე.

ადამიანის უფლებებათა საერთაშორისო სისტემა

აივ-ინფიცირებულთა უფლებები და მოვალეობები საგრძნობლად განსხვავდება სხვადასხვა ქვეყნებში. თეორიულად, თქვენი უფლებები დაცულია ადამიანის უფლებების შესახებ რიგი საერთაშორისო შეთანხმებების მეშვეობით. ადამიანის უფლებათა დაცვის არსებული დოკუმენტები მოიცავს:

- საერთაშორისო ხელშეკრულება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR);
- საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW);
- ბავშვის უფლებათა შესახებ გაეროს კონვენცია (UNCRC);
- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD);
- გაეროს გენერალური ასამბლეის სპეციალური სესია აივ ინფექცია/შიდსის საკითხებზე - აივ/შიდსთან ბრძოლის ვალდებულებათა დეკლარაცია;
- გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შესახებ.

რა სახის დისკრიმინაციას განიცდიან აივ-ინფიცირებული პირები?

მთელ რიგ ქვეყნებში მოქმედებს სპეციფიური კანონები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ აივ-ინფიცირებულებზე და შეუძლიათ მათი ცხოვრების გართულება. მაგალითად, ზოგ ქვეყანაში აივ-ინფიცირებულებისათვის არ არის დაშვებული მოგზაურობა, მუშაობა და დასახლება.

ზოგ ქვეყანაში სექსუალური კავშირი კონდომის გარეშე ან პარტნიორისათვის აივ-სტატუსის არგამჟღავნება შეიძლება სისხლის სამართლებრივ დანაშაულად ჩაითვალოს. აივ-ის სფეროს სამართალის ქსელი (The HIV Justice Network) წარმოადგენს იმ ადამიანების დაჯგუფებას, რომლებიც მუშაობენ კონკრეტულად აივ-ის საკითხებზე და აივ-ის გადაცემასთან დაკავშირებულ სისხლის სამართალზე. მათ საიტზე (www.hivjustice.net) შესაძლებელია უამრავი ინფორმაციის მოძიება.

ადამიანების ინდივიდუალური ქცევა ასევე შესაძლოა პრობლემატური იყოს. სავალდებულო ტესტირება, საავადმყოფოებში მკურნალობის არმიწოდება, სამსახურში მიღებაზე უარის თქმა წარმოადგენენ დისკრიმინაციის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმებს.

ზოგჯერ, აივ-სტატუსი არ არის დისკრიმინაციის მთავარი მიზეზი და თქვენ შეიძლება გახდეთ სტიგმატიზირებული იმის გამო, რომ ხართ ჰომოსექსუალი, სექ-მუშაკი, მიგრანტი ან ნარკოტიკის მომხმარებელი. ზოგი წესი და კანონი, რომელიც ეხებათ არა მხოლოდ აივ-ინფიცირებულებს, ასევე შეიძლება აღქმული იყოს როგორც დისკრიმინაციული, მაგალითად: რიგ ქვეყნებში გრძელვადიან დაავადებისას შესაძლოა უფრო რთული აღმოჩნდეს სიცოცხლის დაზღვევა ან საკუთრების შეძენა.

თქვენს მიმართ გამოვლენილი დისკრიმინაციული მიდგომის შედეგებმა შესაძლოა უდიდესი ზეგავლენა იქონიონ თქვენზე,

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220

ABOUT HIV

აივი და ადამიანის უფლებები

როგორც აივ-ით მცხოვრებ ადამიანზე და ასევე თქვენს ირგვლივ მყოფ ადამიანებზე. ამგვარი ფაქტების დადგომისას მნიშვნელოვანია მხარდაჭერის მიღება.

რა უფლებები გვაქვს?

იურიდიულად, აივი არ შეიძლება წარმოადგენდეს დისკრიმინაციის საფუძველს ქვეყნების უმრავლესობაში. სამწუხაროდ, ეს არ გამორიცხავს აივ-ინფიცირებულების მიმართ დისკრიმინაციულ ქცევას და მათ სტიგმატიზირებას.

თქვენი უფლებების ცონდა - კარგი დასაწყისია საკუთარი თავის დისკრიმინაციისგან დასაცავად. ადგილობრივ სათემო ორგანიზაციებს შეუძლიათ აღმოგიჩინონ დახმარება თქვენი ქვეყნის შესაბამისი კანონმდებლობის და თქვენი უფლებების გაცნობიერებაში და შეძლებისდაგვარად დისკრიმინაციასთან შებრძოლებაში.

მაგალითად, თუ თვქენ არ მიგიღეს სამსახურში ან გაგათავისუფლეს სამსახურიდან აივ-სტატუსის გამო თქვენ შესაძლოა გქონდეთ იურიდიული უფლება გაასაჩივროთ ამგვარი გადაწყვეტილება.

სად არის შესაძლებელი მხარდაჭერის მიღება?

გასაუბრება აივ-სფეროში მოღვაწე ადგილობრივ ორგანიზაციებთან - კარგი საწყისია მხარდაჭერის მისაღებად. გარდა ამისა, ქვეყნიდან და კონტექსტიდან გამომდინარე იურისტის კონსულტაცია შესაძლოა წარმოადგენდეს მხარდაჭერის ერთ-ერთ მექნიზმს.

www.pro-vich.info და www.about-HIV.info შემუშავება შესაძლებელი გახდა იანსენისგან (Janssen) მიღებული გულუხვი დახმარების წყალობით. დამფინანსებელს აღარ განუხორციელებია კონტროლი საიტების შინაარსზე. ამ საიტზე მოცემული ინფორმაცია გამიზნულია სამედიცინო მუშაკისგან მიღებული კონსულტაციის მხარდაჭერისათვის და არა მისი ჩანაცვლებისათვის. გაესაუბრეთ თქვენს ექიმს ან სამედიცინო გუნდის რომელიმე წევრს მოცემული ინფორმაციის თქვენს კონკრეტულ შემთხვევასთან მისადაგების მიზნით.
თანამშრომლობა: NAM aidsmap, European AIDS Treatment Group, Aids Action Europe, East Europe & Central Asia Union of PLWH and ITPCru-ს (The Treatment Preparedness Coalition) შორის.

მეტი ინფორმაციისათვს ეწვიეთ: www.about-hiv.info; www.pro-vich.info; www.aidsmap.com
UK Charity რეგისტრაციის ნომერი: 1011220